

მშარბივთა უმსაქლო უმფარდებავისა და დროთა  
თნამიხმდებრობის საკითხები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში

როგორც ცნობილია, სინტაქსი „სიტყვათა დამოკიდებულებას ანუ შეკავშირებას სწავლობს... სინტაქსი ახასიათებს ყოველ სიტყვას იმ როლის მიხედვით, რომელიც მას ეკუთვნის, როცა სიტყვები კავშირდებიან აზრის (ან აზრის ნაწილის) გამოსათქმელად, გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად“<sup>1</sup>. სინტაქსისათვის მნიშვნელოვანია ის ურთიერთობანი, რომლებიც მყარდება სიტყვებს შორის სამეტყველო წარმონაქმნების შედგენის პროცესში, იმ ურთიერთობათა კანონზომიერებანი, რომლებიც ქმნიან წინადადებათა შედგენის საშუალებებს ანდა წესებს<sup>2</sup>. მაშასადამე, „ენაში სინტაქსური ბუნებისაა წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესები“<sup>3</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ქვეწყობის ფარგლებში, სიტყვათა ურთიერთობის ხაზით, მხოლოდ ფორმალურად კავშირებისა და მათი კორელატების ურთიერთობა კი არ არის საძებნელი, არამედ სხვაც, მაგალითად, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდებანი მწკრივთა თვალსაზრისით. აღნიშნული შეფარდებების ასახვამ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შორის ურთიერთობის სახეობა, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების სახეობა უნდა მოგვეცეს“<sup>4</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი:

1921 წელს ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებულ და სასწავლო კომიტეტის მიერ მიღებულ პროექტში ვკითხულობთ:

1 ა. ჩიბოვა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 282.

2 О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян, Современные синтаксические теории, изд. Московского гос. университета, 1963, გვ. 122.

3 ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 215.

4 ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

„დროთა ხმარება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კომისიამ უპირატესობა მისცა დროთა სრულ შეთანხმებას მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში: აწმყოსთან — აწმყო, ნამყოსთან — ნამყო, მყოფადთან — მყოფადი: სოფელ წაბლიანში ყველამ იცოდა, ვინ იყო ოთარაანთ ქვრივი..., სოფელ წაბლიანში ყველამ იცის, ვინ არის..., სოფელ წაბლიანში ყველას ეცოდინება, ვინ იქნება..., მაგრამ არის ხოლომე შემთხვევა, როცა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული ფაქტები სხვადასხვა დროს შეეხება. მაშინ, აზრის მიხედვით, ის დრო უნდა ვიხმაროთ, რომელიც გარემოებას (ფაქტს) შეეფერება: ძველადაც იცოდნენ, რომ ქვეყანა მრგვალია. ვერ დავიჯერებ, რომ ეს კაცი მიდიარია. ამას გარდა, აზრის გასაცხოველებლადაც შეუძლია მწერალს ზოგჯერ ნამყოს მაგივრად აწმყო დრო იხმაროს: სოფელ წაბლიანში ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი; შევამჩნიე, რომ კაცი მიდის და სხვანი“; და იქვე, სქოლიოში, მიწერილია: „კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა დროთა თანამიმდევრობის საკითხი სპეციალურად შესწავლილ იქნას. ამიტომ ეს საკითხიც ღიადაა დატოვებული“<sup>5</sup>.

1927 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში ს. ხუნდაძე შეეხო დროთა შეთანხმების საკითხს. ავტორი წერს: „ძველ მწერლობაში იხმარებოდა და ბევრი მწერალი ახლაც ხმარობს (ახლა განსაკუთრებით აღმოს. საქართველოს მწერალნი) დროთა ერთგვარ შეთანხმებას, რომელიც, ჩემი ფიქრით, აზრის ლოგიკურ მსვლელობას ეწინააღმდეგება“<sup>6</sup>. მას მხედველობაში აქვს ამ ტიპის მაგალითი: „მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად და მოზიდა, რათა გაეტეხოს“ („სიბრძნე სიცრუისა“).

ს. ხუნდაძეს მიაჩნია, რომ, რადგან მოქმედება წარსულ დროშია მომხდარი, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კი გვიჩვენებს, თითქოს მოქმედება მომავალში უნდა მოხდეს, მყოფადი დროის ფორმა შეუფერებელია. „ჩვენი აზრით თანდათანობით მსვლელობა მოითხოვს ამ შემთხვევაში შემასმენელი იმისთანა ფორმით აღინიშნოს, რომ წინად მომხდარ მოქმედებას გვიჩვენებდეს. მაშასადამე, ზემოთმოყვანილ წინადადებათა შემასმენლები ასე უნდა გამოითქვას: მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად და მოზიდა, რათა გაეტეხა“<sup>7</sup>.

ანალოგიური მაგალითების განხილვის შემდეგ ს. ხუნდაძე დაასკვნის: „...უნდა დავიცვათ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის დროთა ერთგვარობა: ან ორივე აწმყო იქნეს, ან ორივეში ნამყო“<sup>8</sup>.

<sup>5</sup> რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საკითხი სპეციალურად არ შესწავლილა და არც სხვა პროექტი შემუშავებულა.

<sup>6</sup> ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები (გამოცემა გრ. შანიძისა), ქუთაისი, 1927, გვ. 60.

<sup>7</sup> ს. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 61.

ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“, რომელიც 1966 წელს გამოვიდა, აღნიშნულია, რომ „რთული წინადადების ნაწილებს შორის გარკვეული მიმართების დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს ზმნის დროისა და კილოს (მწკრივის) ფორმების გამოყენებას. ხშირად რთულის ნაწილებში ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია ნახმარი, ზოგჯერ კი — სხვადასხვა მწკრივისა... რთულის მეორე ნაწილში ზმნის მწკრივის ფორმათა გამოყენებას განსაზღვრავს პირველ ნაწილში ნახმარი ზმნის ფორმა. მაშასადამე, რთული წინადადების ნაწილებში მწკრივის ფორმათა გამოყენება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება“<sup>9</sup>.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა განხილვისას (დამატებითი, განსაზღვრებითი, დროის, ვითარების, მიზეზის გარემოებითები და დათმობითი) მოცემულია ზოგადი მითითება იმის თაობაზე, რომ ამ ტიპის წინადადებებში „ზმნის ფორმები ხშირად ერთი და იმავე დროისაა... მწკრივის მიხედვით ეს ფორმები ერთი და იგივეა ან სხვადასხვა“<sup>10</sup>. უფრო დაწვრილებითაა წარმოდგენილი მწკრივთა შესაძლო კომბინაციები მიზნის გარემოებითი დამოკიდებული და პირობითი წინადადებების განხილვისას<sup>11</sup>. დანარჩენი სახის რთულ ქვეწყობილ წინადადებათა დახასიათებისას მწკრივთა შესაძლო შეფარდებანი გათვალისწინებული არ არის<sup>12</sup>.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სპეციალურმა ანალიზმა მწკრივთა შესაძლებელ კომბინაციათა თვალსაზრისით დაადასტურა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი

<sup>9</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 319.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 380.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 400—401, 405—409.

<sup>12</sup> მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხების კვლევას (ახალი სალიტერატურო ქართულის მასლაზე დაყრდნობით) მიუძღვნით რამდენიმე სპეციალური ნაშრომი. იხ. ჩვენ: დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სტუდენტთა XXVI სამეცნ. კონფერენცია, 1964, თეზისები, მოხსენება, მცირეოდენი შემოკლებით, დაიბეჭდა „თბილისის უნივერსიტეტის შრომებში“, B 3 (142), 1972, გვ. 33—41; დროთა თანამიმდევრობა ერთი ტიპის კონსტრუქციაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1972, გვ. 17—20; დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, ჟურნ. „მაცნე“, №2, 1974, გვ. 87—94; მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, კონსტრუქციაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 90, №3, 1978; დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, კონსტრუქციაში, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური სამეცნ. კონფერენციის მოხსენებათა მასალები ფილოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე, ქუთაისი, 1978, და სხვა, აგრეთვე, საკანდიდატო დისერტაცია: დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, თბ., 1974.

ნებისმიერი არ არის. მას ძირითადად განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა (შედარებით იშვიათია მყოფადის კავშირებითი და III კავშირებითი), ასევე აბსოლუტურად ყველა მწკრივის ფორმა მოსალოდნელი დამოკიდებულ წინადადებაში, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: ჯერ ერთი, მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივის დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა. მწკრივთა შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია და უფრო მეტად დამახასიათებელი, ზოგი კი იშვიათად გვხვდება.

და მეორეც, თითოეული ტიპი რთული ქვეწყობილი წინადადების განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. მაგალითად, მწკრივთა გაცილებით მრავალფეროვანი შეხამებაა შესაძლებელი განსაზღვრებით დამოკიდებულთან (განაწილებულია 90-მდე ვარიანტი) და ვითარების გარემოებით დამოკიდებულთან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში (80-მდე ვარიანტი), ვიდრე, ვთქვათ, მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. გარდა ამისა, ის, რაც ერთი სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის ბუნებრივია, შესაძლოა მეორე სახისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ან საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამიტომ მწკრივთა შესაძლო კომბინაციებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხი განვიხილეთ რთული ქვეწყობილი წინადადების თითოეული ტიპისათვის ცალ-ცალკე.

ნაშრომში წარმოვადგენთ მხოლოდ დასკვნებს, მიღებულს მწკრივთა შესაძლო შეფარდებების გათვალისწინებით.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ წინადადებაში ზმნა-შემასმენლად ყველა მწკრივის ფორმა გვხვდება. ასევე ყველა მწკრივია მოსალოდნელი დამოკიდებულ წინადადებაშიც, მაგრამ მწკრივთა არჩევანი ყველა შემთხვევაში ნებისმიერი არ არის. მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო შეიძლება იყოს:

1) **ახლანდელი** (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი):

ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს ვინაც არ ავდებს ჩაღადა (ვუა).

...რეაქციას ყველაზე კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამგვარი მკაცრი სასჯელის გამოტანა ასე ზეპირად, ასე დაუსაბუთებლად, ...არც კეთილსინდისიერი მოქმედებაა (ვ. ჭელ.). ის კი უღაოა, რომ ზურაბი პატიოსანი კაცი ყოფილა (მ. ჯავახ.) და ა. შ.

2) წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტელი, II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

სრულ ჩოხას ეტყობოდა, თუ რა დევ-გმირის ტანს ჰფარავდა (ნ. ლორთქ.); არც ერთი წამით არ ავიწყდებოდა მონადირეს, რომ არ უნდა მოეკლა ხარ-ირემი (გ. რჩ.); ვია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა კიდევ ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა (რ. ინან.); კაჭკაჭის უნახავ კაცს ეგონებოდა, რომ მთაში ურემი ამოუტანიათო (ვუა); ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ-მადეგარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა (ილია); მაჩაბლის თარგმანების გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ მთარგმნელს ისეთი სიტუაციები და განწყობილებით უნდა ეთარგმნა (გ. ჭელ.); ვისაც ტიციან ტაბიძის ლექსები წაუკითხავს, ...დამახსოვრებია მისი ორი სტრიქონი (თ. ჭილ.); დიდი ხანია ოცნებად გადაქცეოდა ციციანს, რომ დიდებული ცოლი გამხდარიყო (ნ. ლორთქ.) და ა. შ.

ან 3) მომავალი (აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძანებითი კილოს მნიშვნელობისა) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავშირებითი);

ვინც მაგას შეირთავს, ოჯახსაც ის უნდა ჰპატრონობდეს (აღ. ყაზბ.); როგორ იქნება, რომ ჩემი ხმა შენ ვერ მოგივიდეს? (კ. ვაშს.); მიხსენე, ვინცა იხმარო, გიგო, ოქროსა მჭედელი (ნ. ლორთქ.); ვინც აიართს და ჩამოიართს და ხმა არ გამცეს, გაქვაავდეს! (რ. ინან.) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, უფრო დამახასიათებელია ზმნა-შემასმენელთა შეთანხმება წარსულ დროში.

ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარ წინადადებაში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — უწყვეტელი, აწმყო — ხოლმეობითი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — II თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი):

ცნობილია, რომ არაბთა მთავარ დარტყმებს აღმოსავლეთ საქართველო იგერიებდა (გ. ჭელ.); ისიც მართალია, ვინც გაჩუქა (აკაც); რაც ერთხელ შემეყვარებია, უმტკიცესია რჯულზედა (ვუა); ისიც შესაძლებელია, რომ დავითს თავის ჯამაგირიდან შეენახოს ფული (ც. ნინ.) და ა. შ.

2) მთავარ წინადადებაში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყო — წყვეტილი (ბრძანებითი კილოს მნიშვნელობისა) აწმყო — მყოფადის კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი):

რასაც რომ კოვზი ვეღარ მოსდებს პირს, ის არის იმისი საზრდო და მარჩენალი (რ. ინან.); ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვინულან (ილია); ცოდვეს მოინანებდე, ის გირჩევნია (ნ. ლორთქ.);

3) მთავარ წინადადებაში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი<sup>13</sup> (უწყვეტელი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო):

გწამდათ, რომ სამართალი არსებობს (თ. ჭილ.); გარედან რომ დაკმუწული, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? (ვაჟა);

4) მთავარ წინადადებაში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი: (წყვეტილი — მყოფადი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

ეგონათ, რომ იმათი მადლი დაედებათო (მ. ჯავახ.); უცებ გამახსენდა, რომ აქ ამ დროს გერმანელი მწერალი უნდა შემხვედროდა (გ. რჩ.).

5) მთავარ წინადადებაში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, ხოლმეობითი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყო, II კავშირებითი — აწმყო):

სხვას როგორ უძობს, საუთარს ვინც სცემს დედას და მამასა? (ვაჟა); ანრა კარგი იქნებოდა თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ (ილია); ვისაც გულბ გერჩისთ, მომყევით (ალ. ყაზბ.).

6) მთავარ წინადადებაში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — უწყვეტელი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, II კავშირებითი — უწყვეტელი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — I თურმეობითი):

ახლა კინათელი გახდება, თუ რატომ ჩქარობდა ასე იაკობი (თ. ჭილ.); ვინც თავის ძალა ტერის კარგად შეუწონა, ის უქველად პირნათლად ივლის (მ. ჯავახ.); ამ მოუსვენარ შრომას უნდა მიეწეოს, რომ ივანეს წვერ-ულვაში... ჰქონდა გათეთრებული (ე. ნინ.); მერის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბოროტად არ გამოუყენებია ეს ნაცნობ-მეგობრობა (რ. ინან.).

შეინიშნება, რომ სხვადასხვა დროში შეთანხმების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების დრო უპირატესად უსწრებს მთავრის ზმნა-შემასმენლით გამოხატულს.

<sup>13</sup> აწმყო ამ შემთხვევაში „ზოგადის“ მნიშვნელობისა ჩანს ყველგან.

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ორსავე ნაწილში ყველა მწკრივით გამოხატული ზმნა-შემასმენლები გვხვდება, მაგრამ მწკრივთა არჩევანი ნებისმიერი არ არის. ამ შემთხვევაშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი რომელიმე დროის ფარგლებში:

1) ახლანდელი — ახლანდელი (აწმყო — აწმყო, I თურმეობითი — აწმყო):

თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ ერთ ტაძარში ორი ღმერთის სამსახური არ შეიძლება (ლ. გოთ.); ნ. ნათაძე თვითონვე შენიშნავს, რომ კამიუ ძალიან ძნელი სათარგმნელია (ვ. ჰელ.).

2) წარსული — წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტელი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

არცნოცოდ, თუ იმას გული რისაგან სტკიოდა (ვჟა). ახლალა გავიგე, რომ თურმე ჩემი ბატონი... ბატების გამოსასყიდ თანხას... თამაშით აკეთებდა (მ. ამირ.); გოგო-ბიჭებმა უმალ შეამჩნიეს, რომ საბედოს კაბა უკვე გადაებრუნებინა (ლ. გოთ.); მე არ დამინახავს, როგორ აიკრიფა სიბნელე (რ. ინან.).

3) მომავალი — მომავალი (აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, II კავშირებითი — II კავშირებითი, II კავშირებითი — III კავშირებითი):

ვინც ზევით არ ამოვა, დათვი იმას დაბეგვავსო (ვჟა); არა, ძმაო, ღმერთმა ნუ ქნას, ვგენი ვინმეს ჩაუხტნენ (რ. ინან.); ვუსურვოთ მას, არ მოჰკლებოდეს ის თავისებური სიხარული (ვ. ჰელ.).

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლნი შეიძლება ერთმანეთს შეეფარდონ სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი):

ზენ უკვე ვიცით, რომ სოფელ ვაშლივანს აღმოსავლეთით ეკრა დიდი ატეხილი ტყე (ი. გოგბ.); ის ცოცხალი ორგანიზმებით იწოვს და ითვისებს ყველაფერს, რაც აღამიანის გონებას მინამღე შეუქმნია და დაუგროვებია (თ. ჭილ.).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო-მყოფადი, აწმყო — II კავშირებით):

ხომ იცი, მე ქვას ზეთს გამოვადენ (კ. გამს.); ის ლანძღვა უფრო იმას იმსახურებს, რომ არ უმასუხო (ვ. ჭილ.).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (უწყვეტელი — აწმყო, ხოლმეობითი — აწმყო, ხოლმეობითი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი — აწმყო, წყვეტილი — I თურმეობითი, I თურმეობითი — აწმყო):

აკვირ იცოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი რამ დედანაა (თ. ჭილ.); გაიგეს, რომ სოსია... პავლეს ქალს აძლევს (გვ. ვაზ.); თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ აღამიანებს (თ. ჭილ.).

4) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — მყოფადი, ხოლმეობითი — II კავშირებითი, წყვეტილი — მყოფადი, წყვეტილი — წყვეტილი (ბრძან. კილოსი), წყვეტილი — II კავშირებითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი):

ამხანავსაც მოეწონა ეს ამბავი და გადაწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ (ი. გოგბ.); გვთხოვა, რომ ატარეთ ტყეში, მუშად გამოიყენეთ და ასწავლეთ კასრის ფიცრების გათლა (ვ. ამირ.).

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — აწმყო, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — აწმყო, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — I თურმეობითი):

ვისაც სიყვდილი აშინებს, ვინ გაიყოლებს ჯარშია?! (ვაჟა); გაიხსენეთ, როგორ არის დახასიათებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები (ვ. ჭილ.); ოღონდ... ვაკეთო, რაც მწადიან, რაც მიყვარს, რაცა მწყურისა (ვაჟა).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა დროში შეთანხმების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული „მოქმედება“ შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულს (თითქმის თანაბარია შეფარდება), მაგრამ ეს ხდება გამოსახატავი შინაარსის შესაბამისად.

ორიბდამატებითი დამოკიდებულებითი წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში თითქმის ყველა მწკრივით გადმოცემული ზმნა-შემასმენელი გვხვდება. მხოლოდ მყოფადის ხოლმეობი-



თი ჩანს მოულოდნელი როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადებისათვის.

საანალიზო ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან კვლავ ძირითადად ერთი დროის ფარგლებში.

ესაა:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო):

თვით მშველიან მას, რასაც ებრძვიან (ილია); ვვარაუდობთ კი, რომ ათი უნდა იყოს გადასწორებული ცხრად (რ. ინან).

2) წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — II თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტელი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

მისი ყმაწვილი ცოლი... თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც წლის სარჩოდ შემოდიოდა (დ. კლდ.); მეტი ხედავდა, რომ გარდუვალი კედელი იდგა საგანელიძის ქალსა და ერემოს მოჯამაგირეს შუა (ე. ლორთქ.); ის მიხვდა, რომ უბედურს რაღაცა ამძიმებდა (აღ. ყაზბ.); მეღე... ვერ მიხვდარა იყო, სად გამჭრალყო უცხოელი (ო. ჭილ.).

3) მომავალი (მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავშირებითი):

ვინც იურჩებს, მას შესწამებენ ლალატსა (აჟაი); ვისაც არ უნდა გაუჭირდეს, ყველას დავებმარებო (რ. ინან.); ვინც ღირსი იყოს, მას მიეციოთ! (რ. ინან.); ვინც ჩემს იარაღს იხმარებს, ...ღმერთმა ახმაროს ალღა (ვაჟა); ხელი გაუხმეს, ვინც ასეთი ვაჟაიე წააქციოს (მ. ჭავჭავაძე).

ეს ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდოს ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — უწყვეტელი, აწმყო — ხოლმეობითი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — II თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი,

აწმყოს კავშირებითი — წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, მყოფადი — I თურმეობითი):

ეს ...კვავს იმას, ვისაც ჩვენ ვიცნობდით (ჰ. ლომი); მე მას ვუგალობ, ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა (აკაკი); ყველას სამარე მოგველის, ვინც დედის მუცლით შობილა (ვაჟა); ვინც ქართულ ენაზე „წითელი და შავი“ კითხვით დამტკბარა, მას უსათუოდ წაკითხული ექნება გ. ქიქოძის წერილიც (თ. ჭილა).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — მყოფადი):

მოველი იმას, რომ ამეყრება წოდება (ჰ. ამირ.); ეს სიტყვები თავისთავად გულისხმობს, რომ ნიჭიერი შემოქმედი ახლაგაზრდა გაბედულად გამოვიყვანოთ (ვ. ჭელ).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (ხოლმეობითი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო, წყვეტილი — I თურმეობითი, I თურმეობითი — აწმყო):

მივხვდი, რომ ეს სამრეკლოს ზარია (ჰ. ლომი); მიხვდა, რომ თავზეხელაღებული-აღამიანი საშიში ყოფილა (ე. ნინ.); რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა (ილია).

4) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — აწმყო, II კავშირებითი — აწმყო):

ვისაც ეს სწამს წრფელის განზრახვით, მას შეერგება ციურ მანანად (აკაკი); იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ გვემული დედოფალი „ანტიოქიის პალეკარტს“ არ იშორებს (ვ. ჭელ); იმას მოუყვდეს, ვისც არა უყვარს (ვაჟა).

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — უწყვეტილი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — წყვეტილი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — I თურმეობითი):

მოვესწრები, რაც მინდოდა ზამთრისაგან დაჩაგრულსა (აკაკი); იმას ნუ შეუშინდები, რომ ამისთანა პატარა სახლი დაგახვედრა შენმა ქმარმა (დ. კლდ.); ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო (აკაკი); ლმერთო, შენ მიუზღე, ვინც ჩემი ოჯახი ასე მოაქცია (ე. ნინ.).

სხვადასხვა დროში შეთანხმების შემთხვევაში რაოდენობრივად ბევრად ჭარბობს ის ვარიანტები, რომლებშიც დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული დრო უსწრებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის ფორმით ნავარაუდევს.

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციებში მთავარი წინადად-

ბის ზმნა-შემასმენლად გვხვდება ყველა მწკრივის ფორმა, მყოფადის კავშირებითისა და III კავშირებითის გარდა. მყოფადის კავშირებითი მოულოდნელი ჩანს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლადაც.

ამ შემთხვევაშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი):

რასაც ვეძიებ, იმისა არ-როდისა ვარ მპოვნელი (ვაჟა); მსგავსების აღმოჩენით იმის დადგენა, თითქოს ხუცესის მოთხოვნაც ავიოგრაფიული იყოს, ...მართებულნი არ არის (ვ. ჭილა); იქნებ არცა ღირდეს იმის საქვეყნოდ გამოტანა და განხევა, რაც... არ იმსახურებს დაბეჭდვას (ვ. ჭილა).

2) წარსული (უწყვეტილი — უწყვეტილი, უწყვეტილი — ხოლმეობითი, უწყვეტილი — წყვეტილი, უწყვეტილი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტილი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტილი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტილი, I თურმეობითი — ხოლმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტილი, II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — I თურმეობითი):

მუშნი ზარანდას ქმედების მიზეზი... იმაში მდგომარეობდა, რომ მას „სხვაგვარად არ ძალუძდა“ (ჭ. ამირ.); კულაგინების ვაზში სხვა... თავყრილობებისაგან... მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ზომაზე მეტად მოსაწყენი იყო (ჭ. ამირ.); რამდენი გადაურჩა ნაადრევ სიკვდილს იმით, რომ მისმა თანამედროვეებმა მისი ნამდვილი ფასი არ იცოდნენ (თ. ჭილა); ესოდენ იშვიათი სიკვდილი იმით აღინიშნა, რომ ქელეხმა ნაშუალამეამდე გასტანა (რ. ინანა); მგონი, არ დაუშავებია რამე, ასე რომ თქვა (ვ. ჭილა); ეს ლექსები ...დაწერილა მათთვის, ...ვისთვისაც ზღვის მღელვარება საკუთარ სტიქიად ქცეულა... (თ. ჭილა).

3) მომავალი (მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავშირებითი):

არ უნდა ვიმსჯელოთ რომელიმე მოვლენაზე მხოლოდ იმით, თუ რამდენად მოგვეწონება თვითონ. იმაზეც უნდა იფიქრო, ... წყვილია ბარბანისადგურის ირგვლივ (ჭ. ამირ.).

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის გვეწყობილ წინადადებაში ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად წარსული დროის ფარგლებში.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეთარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — უწყვეტელი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი — წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — II თურმეობითი):

ეს ორი მაგალითიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელი თავის საეკლესიო მოღვაწეობაში უპირველეს ყოვლისა ერის ინტერესებიდან გამომდინარე (მ. ქელი); ვინც მიიღობდა, იმათი გამგებელია ჭეპარი (ვაჟა); დაფიქრება არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ ლევან გოთუას თვალწინ მაშინვე ილიას „განდევლისა“ და „აჩრდილის“ სურათები დამდგარა (ლ. გოთ.).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — წყვეტილი (ბრძან. კილოსი), აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — III კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, აწმყოს კავშირებითი — ხოლმეობითი, აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი):

ძალიან მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც... ასევე იქნება ათასობით წლის შემდეგაც (რ. ინან.); კაცობრიობა დაუცხრომლად მუშაობს იმაზე, რომ სახელმწიფო ნამდვილი სიკეთის წყაროდ აქციოს (მ. ამირ.); მონატრული ვაჟი, რომ ის არც შემდეგში გამხსენებოდაც (მ. ლომო.).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (ხოლმეობითი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო, წყვეტილი — II კავშირებითი, I თურმეობითი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — აწმყო):

მალღი თანამდებობა იმით აიხსენებოდა, რომ დიდი თავადის ნათლულს ყველაფერს პატრობენ (მ. ამირ.); მოკლე ხანში დავრწმუნდი, რომ პოეტები სიბრძნით არ ქმნიან მას (თ. ქელი); იმისთვის ვიკითხე, ვისთვისაც შეიძლება მოსული იყოს ეგ კაცი (მ. ამირ.).

4) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (ხოლმეობითი — II კავშირებითი, წყვეტილი — მყოფადი, I თურმეობითი — აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი — მყოფადი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

ახლა რასაც ვიტყვი, ამაზე შენ ერთხელ უკვე დამეთანხმე (მ. ამირ.); ხომ არ დაფიქრებულხარ, რა უნდა განსაზღვრავდეს ამა თუ იმ კონკრეტული ეპარხის დაწინაურებას კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე (თ. ქელი).

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — I თურმე-

ობითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი):

ძალიან გაგიჭირდება იმის ატანა, რისთვისაც გამზადებული ხარ (თ. ჭილა); აღამიანმა არ უნდა გამოუტანოს მსჯავრი რომელიმე მოვლენას მხოლოდ იმით, რამდენად ეს მისი, ან რამდენად მოსწონს (თ. ჭილა).

6) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — უწყვეტელი, მყოფადი — ხოლმეობითი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — უწყვეტელი, წყვეტილი, (ბრძან. კილოსი) — I თურმეობითი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — უწყვეტელი, II კავშირებითი — ხოლმეობითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — II თურმეობითი).

ქალბატონი სალომეც დამემოწმება, ნამეტანი დაფიქრებული იყო დათა მთელ დამეს (ვ. ამირ.); რითაც დავიწყე; იმითვე უნდა დავამთავრო ეს წერილი (ვ. ჭილა); იფიქრე იმაზე, რაზეც მთელი ცხოვრება მუშაობდი.

რას გვიჩვენებს ზმნა-შემასმენელთა შეთანხმება სხვადასხვა დროის ფარგლებში?

უბრალო დამატებით დამოკიდებულისან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადების ზმნით გათვალისწინებული მოქმედება შეიძლება უსწრებდეს მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დროს და შეიძლება მოსდევდეს კიდევაც (გამოსახატავი შინაარსის შესაბამისად), მაგრამ ძირითადად უსწრებს მას.

განსაზღვრებითი დამოკიდებულის წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მწკრივთა შესაძლო შეფარდებათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა (გარკვეულ შემთხვევაში — მყოფადის კავშირებითიც კი!). ასევე ყველა მწკრივი შეიძლება გვქონდეს დამოკიდებულ წინადადებაშიც.

რა ვითარებას გვიჩვენებენ მწკრივთა შესაძლო შეფარდებანი დროთა თანამიმდევრობის თვალსაზრისით?

განსაზღვრებით დამოკიდებულისან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს შეეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ესაა, ჩვეულებრივ:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — მყოფადის კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — აწმყო):

ეპოსი იმ რაინდს ანიჭებს გამარჯვებას, ვინც ბრალს სდებს მოღალატეს (იღ. ყიფ.); ასეთი განცდა მაქვს, თითქოს გაზის კამერაში მივყავდეთ ჩასამწყვდე-ვად (გ. ფანჯ.); მაგისტანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მქონდეს, როგორც შენა გაქვეს (ლია); იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს (გ. ტაბ.).

2) წარსული (უწყვეტილი — უწყვეტილი, უწყვეტილი — ხოლმეო-ბითი, უწყვეტილი — წყვეტილი, უწყვეტილი — I თურმეობითი, უწყ-ვეტილი — II თურმეობითი, უწყვეტილი — III კავშირებითი, მყოფა-დი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვე-ტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლ-მეობითი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტი-ლი — უწყვეტილი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტი-ლი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, წყვე-ტილი — III კავშირებითი, I თურმეობითი — უწყვეტილი, I თურმეო-ბითი — ხოლმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი, I თურმეობითი — III კავშირებითი, II თურმეობითი — უწყვეტილი, II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — I თურ-მეობითი, II თურმეობითი — II თურმეობითი, III კავშირებითი — წყვეტილი):

იგი მღვროდა მიწიდან ამოჩრილ ხელზე, რომელიც ცას ემუქრებოდა (ა. ხულაგ.); ის მოთმინებით ელოდა იმ დროს, როდესაც დაბარუნდებოდა ვა-სო... (ა. ფურც.); სძულდა ქვეყანა, რომელიც მას ეპყრა ხელთა (ილია); იმან იცოდა ცოტადენი ჩერქეზული, რომელიც დედას ესწავლებინა (ალ. ყაზბ.); ბაზურა, აქამდე რომ არხეინად იწვა ღუმელის ქვეშ, ბიზოს მიახლოვებისთანავე წა-მოღებება (=წამოღება) და ნელა გაძვრება (=გაძვრა) ღუმელის იქითა მხარეს (რ. ინან.); ქალს, რომელსაც ფარნაოზის ცოლობა ეწერა შუბლზე, თინა ერ-ქვა (ო. ჭილ.); თეიმურაზს აღარ გაუგია თავისი ხმა, რომელსაც ხრინწი და ყან-გი მოსდებოდა (მ. ჯავახ.); ერთხელ ერთი კაცი, რომელსაც არჯალას ხასიათი არა სცოდნოდა, გადაჰკიდებოდა თურმე (ვაჟა).

3) მომავალი (მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — მყო-ფადი, მყოფადი — II კავშირებითი, ხოლმეობითი — მყოფადი, წყვე-ტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავ-შირებითი):

ასეთი კაცი დადგება, რო ბადალი არა ჰყამდეს (ს. მგალ.); სადღაც ყრუ ადგილს დავესახლები, სადაც იქნება ცოფი ნაკლები (გ. ტაბ.); ისეთს კაცზედ გაათხოვეთ, რომელიც გემრიელ ლუქმას შეაჭმევს (ალ. ყაზბ.); ისეთი რამე მიუძღვენით, რომ მართლა... გასაკვირველი იყოს (აკაკი); ფიროსმანს ახლა მაინც აუშენდეს სახლი, სადაც თავს მოიყრის ფიროსმანის... ნაწარმოებე-ბი (თ. კილ.).

როგორც სხვა დროს, ამჯერადაც ჭარბობს შეთანხმება წარსულ დროში, დაახლოებით თანაბარია ახლანდელსა და მომავალ დროში შეთანხმების შემთხვევები.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — უწყვეტელი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — ხოლმეობითი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — II თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — I თურმეობითი):

რად არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს, სადაც თორნივე იმყოფებოდან? (აყავი); როგორ მანიფესტივით უღერს ის ადგილი, როცა ამოს წამების ადგილას ხალხი შეიყრება და ვეღარ დაშლიან იმ ხალხს (ვ. ჭელ.);<sup>14</sup> ისეთ საქმეს ვიკვლევ, მინისტრიც კი გამოვიძახეო (ედ. ყიფ.); ეს მცდარი... მოსაზრება მეორე მცდარი მოსაზრებიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ერთ დროს მტკიცედ იყო დამკვიდრებული ჩვენში (ვ. ჭელ.).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

კლდეზედ აშენებს მეფე სიმაგრეს, საუკუნენი რომ ვერ დასძრავენ (გ. ლეონ.); თითქოს მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები, რომლის ძალით არი გული სამუდამოდ შეერთდება (გ. ტაბ.).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (უწყვეტელი — აწმყო, უწყვეტელი — მყოფადი, ხოლმეობითი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო, წყვეტილი — აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყოს კავშირებითი, II თურმეობითი — აწმყო, III კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — მყოფადი):

სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვლეობას, რომელიც ერთ პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს (ალ. ყაზბ.); ბევრი ბიჭი გამოიჩენდა და ისახელებდა ხოლმე თავს თამაშობაში, რომელსაც „წრე-ბურთას“ ეძახიან (ს. შვალ.); ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს (გ. რჩ.); ყველა თანაბრად გაზრდილიყო იმ სიმაღლემდე, სადამდეც იზრდება მუხა (ედ. ყიფ.).

4) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (უწყვეტელი — მყოფადი, უწყვეტელი — II კავშირებითი, ხოლმეობითი — მყოფადი):

14 მყოფადის მწკრივის ამ მნიშვნელობასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი „მყოფადის მნიშვნელობათათვის ქართულში (პიპოტაქსურ კონსტრუქციათა მასალაზე)“, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ. 71—77.

ფადი, წყვეტილი — ძყოფადი, წყვეტილი — II კავშირებითი, I თურმეობითი — მყოფადი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

მე ვფიქრობდი... იმ საზიზღარ უკუღმართობაზე, რომლისგანაც ლამის მივლი ჩვენი ხალხი მიწასთან გასწორდეს (ნ. ლომ.); ვიპოვეთ უებარი წამალი, რომელიც განკურნავს ჩვენს ავადმყოფსაო (ს. მგალ.).

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყო, წყვეტილი — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, III კავშირებითი — აწმყო):

უერავითარი განზომილება ვერ გამოსახავს იმ სიხარულს, რაც ახლა მის გულში ტრიალებს (გ. ფანჯ.); მართო მღელვარებას ვერ დავარქმევ იმ სულიერ შფოთვის, რასაც ახლა შეეუბყრია ვარ (გ. ფანჯ.); დაწერილი ქაღალდი იმ მხარეს დააკარ, რომელიც სტკივა (ილია); დავიჭირათ მოთავე კაცები, რომლებიც სოფელს რევენ (ს. მგალ.); არ მოჰკლებოდეს ის თავისებური სიხარული, რასაც აღამიანს ანიჭებს თეატრში წასვლის სამზადისი (ვ. ჰელ.).

6) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — ნამყო უწყვეტელი, მყოფადი — ხოლმეობითი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, მყოფადი — II თურმეობითი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — წყვეტილი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — I თურმეობითი, II კავშირებითი — ნამყო უწყვეტელი, II კავშირებითი — ხოლმეობითი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — II თურმეობითი):

იმდენ საბალნეს, წინად რომ გკიდებდი, ეხლა შენ აღარ აგკიდებ (ვაჟა); როდისღა გვადირსებს ღმერთი იმისთანა ქალს, როგორიც დღეს წაგვართვა (ილია); მერე გამახსენებ... უამრავ თაყვანისმცემლებს, ...გარს რომ შემოერთებოდნენ აღტაცებულ ნაიას (ედ. ყოფ.); მიიღე შენი უძღვები და უღირსი ცოლი, რომელმაც შეგაცოლა (მ. ჯავახ.); ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს, ჩვენ რომ ვუყვარდით (გ. ტაბ.); მაშ, ღმერთმა აღღე გრძელ ოს ...გივი, რომელმაც თვითონვე გაითხარა საფლავი (მ. ჯავახ.).

როდესაც მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან სხვადასხვა დროის ფარგლებში, გაანალიზებულ ვარიანტთა უმრავლესობაში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო უსწრებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედების დროს.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვხვდება ყველა მწკრივის ფორმა, დამოკიდე-



ბული წინადადებისათვის უჩვეულო ჩანს მხოლოდ მყოფადის მწკრივით გადმოცემული შემასმენელი.

როგორ სურათს გვიჩვენებს საანალიზო ტიპი დროთა თანამიმდევრობის თვალსაზრისით?

ადგილის გარემოებით დამოკიდებულებიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქცი-  
აშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო

1) ახლანდელია (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო):

საცა პირიშვს ახარებს, იქვე მთხრელია ზავისა (ვაჟა); მაყურებელი იქაც იცინის, საცა ბ-ნი აბაშიძე უნდა ჰნადვლიანობდეს როლის მიხედვითა (ილია); აღამიანი იქ უნდა კვდებოდეს, სადაც მამა-პაპათა ძვლებია ჩაყრილი.

2) წარსული (უწყვეტელი — აწმყო, უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — ხოლმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი):

საცა რუ დაუხვდებოდა, ჩომბახს იბჯენდა (ვ. ბარს.); სადაც მიდიოდა, ყველგან მეცადინეობდნენ (დ. კლდ.); სადაც ბადი არ იყო, მაყვლის ბარდი თავს ბალს ეძახდაო (ანდაზა); ყველგან, საცა კი ფეხს დასდგამდა, იქ მაშინვე ამოვარდებოდა კვამლი და ცეცხლი (მ. ჯავახ.); ძახილით გაეჭანა სოსო იქით, საიდანაც ზმუილი მოისმოდა (შ. არაგვ.); საცა კი შეეხვდა, დამძლია (ილია).

ან 3) მომავალი (აწმყო — მყოფადი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავშირებითი, II კავშირებითი — III კავშირებითი):

საცა ჩემი ზურა იქნება, მეც იქა ვარ (=ვიქნები) (მ. ჯავახ.); საიდანაც დიდი ამოვა, იქიდან პატარაც ამოეტევაო (ანდაზა); ღმერთო, ნუ დამცემ იქამდე, ბოროტს შავეკრა ზავითა (ვაჟა); სადაც შენი დაიკვებო, იქ ჩემიცა თქვიო! (ანდაზა); ერთად ვიაროთ, საითაც გული გაგიწევთ (დ. კვიც.).

როგორც ვხედავთ, უპირატესობა ამჯერადაც წარსულ დროში შეთანხმებას ენიჭება.

ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი — II თურმეობითი):

ყველაგან, სადაც კი წევედ-წამევედღი, ბინაჲ მაქვს, საჰმელიც (დ. კლდ.); სადაც შენ მოუჭრიხარ, მეც იქა ვარ მოჭრილი (აკაკი).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი):

საითაც გაიწვევს ურემი, იქით მიდის სათრვევლაც (ილია); ადამიანის გრძობას როგორღაც ეთაკილებდა, ეზიზღებდა ხუმრობა და გასართობი სიცილი იქ, საცა ზრზუნამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლიანი განაჩენი უნდა წარმოეტქვას (ილია).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (ნამყოფი წყვეტელი — აწმყო, ხოლმეობითი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყოს კავშირებითი):

დანგრეული ჯებირი რომ ჩანს, იქიდან გადავეშვებოდი წყალში და გაედოდი ვაღმა (დ. კვაც.); ჩვენი უღამიანობა იქამდე მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს (ილია); სადაც ჯერ არს, წარუღვენია (ილია).

4) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (წყვეტილი — მყოფადი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

იქით გაეშურა, საიდანაც აღარავინ დაბრუნდებდა; იქ წაბრძანებულა, სადაც მიჩურს უნდა შეხედეს.

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — აწმყო, II კავშირებითი — აწმყო):

ბულბულსაც მნახავთ მგალობელს იქ, სად ყვავები ჩხაეისა (ვაჟა); ბოტო, გაუძეღ იქისკე, სადაც აღაზნის პირია (ვაჟა); მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს ბოულობს (დ. კლდ.).

6) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — I თურმეობითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — III კავშირებითი):

ისეთ დღეს დაგაყრით, რომ ისევ იქვე მიძვრებოდე, საიდანაც შენისთანა გველის წიწილა გამომძვრალა (მ. ჯავახ.); ...დაიწყებს იქიდან, სადაც ერთ დროს ჯვაროსანი ტევტონებმა შეჩერდნენ (მ. კვეს.); ...სადაც დაბერებულხარ, იქვე ჩაყარე შენი ძვლები (ნ. ლომ.); საიდანაც მოსულან, იქ წავიდნენ (ილია).

ზმნა-შემასმენელთა სხვადასხვა დროში შეთანხმების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო ჩვეულებრივ უსწრებს მთავარ წინადადებაში მოცემული ზმნა-შემასმენლით ნავარაუდელი მოქმედებისას.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შევხვდეთ ყველა მწკრივის ფორმას (ძალზე იშვიათია მხოლოდ მყოფადის კავშირებითი და II კავშირებითი), დამოკიდებულ წინადადებაშიც ასევე ყველა მწკრივია მოსალოდნელი (უჩვეულო ჩანს მხოლოდ III კავშირებითი). მაგრამ, როგორც სხვა ტიპის ქვეწყობილი წინადადებების ანალიზმაც დაადასტურა, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ყველა შემთხვევაში ნებისმიერი არ არის.

საანალიზო ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთმანეთს შეეფარდებიან ერთი დროის ფარგლებში:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — მყოფადი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყო):

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული (ვაჟა); ადამიანს უბედური... მანამ არ ეთქმის, სანამ ...ძალა კიდევ შეერჩენია (პ. ჩარკ. თარგმ.); როდესაც ურმები მიდიან ქალაქისაკენ, აქედან ცხენებს ჩავაშველებთ ხოლმე (ვ. ბარს.).

2) წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — ხოლმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტელი, II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

როცა გაუვალი ბუჩქნარი ხვდებოდა, მხარს უქცევდა (მ. შატბ.); ...ებრძოდა თავს, სანამ კარებს შუადებდა (ს. კლდ.); უვლიდა, როცა სიცივე იყო (კ. ნად.); როს ჰლოცულობდა, იმ სხივს თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდნობდა (ილია); შუადღე იქნებოდა, როდესაც მანქანამ ქაობიან უღლიანს შემოურბინა (ს. ლორთქ.); წითელ ხიღზე რომ გადიოდა, გულმა უთხრა (დ. კვიცი.); ფლავი რომ დაინახა, ხუცესს სამოციქულო დაავიწყდაო (ანდაზა); თითქმის ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ის ქალი აღარ მენახა (მ. ჭავჭავ.); როცა ვმკიდით, არ მოსულა (ანდაზა); არც მაშინ შე-

უნიშნავს ვინმე, როცა ხის ძირში დაჯდა (ს. კლდ.). მინამ მე წამოვდგე-  
ბოდი, დათიკო ცხენიდან ძირს დაცემულყო (ილია).

3) მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, აწმყოს კავშირებითი — მყოფადის კავშირებითი, მყოფადი — აწმყო, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — მყოფადის კავშირებითი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადის კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — მყოფადის კავშირებითი, II კავშირებითი — II კავშირებითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — მყოფადი):

ღმერთი რო კაცსა გააჩენს, თანვე დაუწერს ბედსაო (ვაჟა); დაიძა-  
ხებენ თუ არა, ადექი (ნ. ლომ.); სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქ-  
რეო (ანდრა); თათარო, სალაში რომ გაათავო, დამიძახე (აკაკი); ქალაქში  
რომ ჩამოხვალ, იქაურ მამლებს უნდა გაჩხუბო (მ. ჯავახ.); სანამ ამ ვხას  
არ დასდგომია (=სანამ დაადგება!), თენგო უნდა დაიტიროს  
(გ. შატბ.).

როგორც ვხედავთ, ამჯერადაც უპირატესობა ენიჭება წარსულ დრო-  
ში შეფარდებას, მომდევნო ადგილზეა მომავალი დრო.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები შეიძლე-  
ბა შეეფარდოს ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო —  
მყოფადი, აწმყო — მყოფადის კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი):

...სული მიმდის, სანამ იმით პირს ჩავიგემრიელებდე (ს. კლდ.); სანამ  
გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია (= სანამ მოვიგერიებდეთ!),  
შინაური მტრობა რჯულის უარყოფაა (აკაკი).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო —  
წყვეტილი):

ჯოჯობეოს სულები რაში სჭირდებათ, როცა სულის ფასი დაეცაო  
(მ. კვხ.).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (წყვეტი-  
ლი — აწმყო);

იმ გრძნობამ აღაშინა დაამუნჯა მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით  
სანატრელია (ილია).

4) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფა-  
დი — აწმყო, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყო,  
წყვეტილი (ბრძან.) — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — I

თურმეობითი, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — I თურმეობითი):

სანამ დრო გაქვს, იძინე (მ. ჭავჭავაძე); ...მოუხმე, ვიდრე დღე არ მიწურვილა (=არ არის მიწურვილი, ვიდრე მიიწურებოდეს) (ბ. ბრ. თარგმ.); ახლა კი, სანამ სანდო კაცი ცოტა ჰყავთ, გარემოებით უნდა ისარგებლოს (ს. კლდ.); სანამ სასოება არ წაჰკვეთიათ (=არა აქვთ წარკვეთილი, სანამ წარგვეთებოდეთ<sup>15</sup>), ...ჩვენც უნდა მივეშველოთ (აკაკი).

როგორც ვხედავთ, ამჯერად არ გვაქვს დროთა ორგვარი შესაძლო შეთანხმება: ნომავალი — წარსული და წარსული — მომავალი. როდესაც ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეეფარდებიან სხვადასხვა დროის ფარგლებში, დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო ძირითადად უწინარესია მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დროსთან შეფარდებით.

ვითარების გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების შემასმენლად გვხვდება ყველა მწკრივის ზმნა; ასევე აბსოლუტურად ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად (თვით მყოფადის კავშირებითიცა და III კავშირებითიც).

საანალიზო ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან უმეტესად ერთი დროის ფარგლებში:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი — მყოფადი):

როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო (ანდაზა); არსენა ისე მიალაჯებს, თითქოს იძახოდეს (მ. ჭავჭავაძე); ისე შედიდურობს, თითქოს თავადი იყვეს (დ. კლდ.); ნეტავი როგორც შრომისა და გარჯის სურვილი არ აკლია მას, ისე ცოდნა-განათლება არ აკლდეს! (ნ. ლომ.); თვალები ისე აღუპყრიათ ზევით, თითქო... აღამიანთა მხეცური ნახელავისა სცხვენოდეთ (მ. ჭავჭავაძე).

2) წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, უწყვეტელი — I თურმეობითი, უწყვეტელი — II თურმეობითი, უწყვეტელი — III კავშირებითი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი —

<sup>15</sup> როგორც ვხედავთ, ე. წ. „შედგომითი აწმყოს“ ფუნქციით ნახშირი I თურმეობითი, ჩვეულებრივ, ითავსებს მომავლის მნიშვნელობასაც. ამის გამო საანალიზო მაგალითები შეიძლება ჩავთვალოთ ერთი დროის ფარგლებში შეთანხმების ნიმუშებად.

წყვეტილი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, წყვეტილი — III კავშირებითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — ხოლმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი, I თურმეობითი — III კავშირებითი, II თურმეობითი — უწყვეტელი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

ისე დაძაბულად ვსვამდი, თითქოს ვკოცნიდი (ლ. გოთ.); ისე მინათებდნენ, მთვარიანი ღამე გეგონებოდა (ხ. კლდ.); ისე გრძნობდა გული თავს, თითქოს რაიმე მოვალეობა შეესრულებინოს (ვ. ხარნ.) ისე მოისაწყლვებდა თავს, რომ აღამიანს გულს დაუთუთუქავდა (ხ. მვალ.) ისე შეუხუვარდა, რომ ღამე გვერდით მიიბამდა ხოლმე (შ. არაგვ.); როგორც შევძელით, ვაჩვენეთ (ილია); არც დავფიქრებულვარ, ისე მივახალე (მ. კვეს.); ზაალს... მარაბდის აკლება ისე არ სწყყენია, როგორც ახლა მარაბდელის წაქევა ვწყინა (მ. ჭავჭავ.); თავიც ვერ ასწია, ისე დამძობებოდა (ხ. კლდ.).

3) მომავალი (აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი, მყოფადი — აწმყო, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — წყვეტილი (კავშირებითი კილოსი), მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — III კავშირებითი, II კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — II კავშირებითი, II კავშირებითი — III კავშირებითი, III კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, III კავშირებითი — II კავშირებითი, III კავშირებითი — III კავშირებითი):

...შორიდან ისე შევაფიცებ თქვენს ბატონს, რომ სულ ქაღებს გაჰმეგდესო (მ. ჭავჭავ.); ისე ვავიქცევი, ფრინველიც ვერ დამეწევაო (ანდაზა); მურდლად ნუ მომკლავ, ერთს მაინც რომ არ მოვსთხარო თვალთ (ვაჟა); ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარტება (ილია); იმოქმედლოს ისე, როგორც მოეპრიანება (ხ. კლდ.); დღენი ისე არ გაველიოს, ...ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა ცოტათი მაინც მან არ მოსწყინდოს (ილია).

უპირატესობა კვლავ ენიჭება წარსულ დროში შეთანხმებას (ყველაზე ნაკლებია შეთანხმება ახლანდელ დროში).

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროშიც.

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო —

უწყვეტილი, აწმყო — ხოლმეობითი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი):

თვალები ისე უზროდ აქვს გაშტერებული, აღრე რომ ჰქონდა (პ. ჩარჯ. თარგმ.); წინათ სიზმრადაც არ მოვლანდებოდა, ისე ცხოვრობს ახლა (ს. კლდ.); როგორც გვიწირავს, ისევ ისე ვწირავთ (ს. მგალ.).

2) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — მყოფადის კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, I თურმეობითი — მყოფადი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

ისე დგას, მაგას ბუღდოზერიც ვერ დაძრავს (ლ. ვით.); ხელში ლუკმა ვერც აგვიღია (=ვერ ვიღებთ), რომ ათი ხელი არ მოგვწვდეს (მ. ჭავჭ.).

3) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — ახლანდელი (უწყვეტილი — აწმყო, უწყვეტილი — II კავშირებითი, ხოლმეობითი — აწმყო, წყვეტილი — აწმყო, წყვეტილი — მყოფადი, I თურმეობითი — აწმყო, I თურმეობითი — II კავშირებითი, II თურმეობითი — აწმყო):

კაკალი ხომ ისე ცვიოდა, როგორც შემოდგომის დროს ჩამოდის ხოლმე (ს. ლომ.); ქალიც წამოიწვედა ხოლმე, თითქოს მასაც ვილაცა ეზიდებათ (ალ. ყაზბ.); ისე ნათლად წამოუდგა ქალი, თითქოს მის წინ ცოცხალი დგასო (ვ. ბარნ.); ბ-ნ აბაშიძეს არც სახე გაეკეთებინა ისე, როგორც დამჯდარს კაცს შეეფერება (ილია).

4) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (წყვეტილი — მყოფადი, წყვეტილი — II კავშირებითი, II თურმეობითი — II კავშირებითი):

ისე გაოხრდა, რომ ყაზახებში ვერ გამოარჩევ (დ. კლდ.); ისე როგორ დავმტვერეთდიო, რომ ერთი გოგო ვერ შევიწინახოთ (ვ. ბარნ.).

5) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყო, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — მყოფადი, III კავშირებითი — აწმყო):

ისე მოვიქცევი, როგორც ჩემს გულს უხარიან (ვ. ბარნ.); ისეთნაირად მოგემქცევა, ვითომდა არ გკადრულობდეს (დ. კლდ.); ისე შენ იყავ მილხენით, როგორც მე გყავარ ლხენითა (ვაჟა); ჩემნი შეილები ღმერთმა ნუ აცხოვროს ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ (დ. კლდ.).

6) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — უწყვეტილი, მყოფადი — ხოლმეობითი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, მყოფადი — III კავშირებითი, წყვეტილი

(ბრძან.) — უწყვეტელი, წყვეტილი (ბრძან.) — წყვეტილი, II კავშირებითი — უწყვეტელი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — III კავშირებითი, III კავშირებითი — უწყვეტელი, III კავშირებითი — წყვეტილი, III კავშირებითი — I თურმეობითი):

ისე აღმაცერად... არ ჩაუვლიან, როგორც აქამოდღე შერებოდნენ (ილია); ჩვენი მილიციელებიც ისევე მოიქცევიან, როგორც დამაბარე (მ. ჭავჭავაძე); ისევე ისე ბინძურად იცხოვრებს, როგორც სილარბეში უცხოვრებს (ილია); როგორც აქამდისინ მეხმარებოდი, მომეხმარე ერთი ახლაცო (ნ. ლომ.); ისე მოიქცევი, როგორც გითხარი (ხ. კლდ.); უუჰ! დაგტანჯოს ჩემმა გამჩენმა, როგორც შენ დამტანჯე (მ. ჭავჭავაძე); ისევე პირნათლად შეგესრულე ბინოთ თქვენი საქმე, როგორც უწინ შეგისრულე ბინათ (მ. ჭავჭავაძე).

ზმნა-შემასმენელთა სხედასხვა დროის ფარგლებში შეთანხმების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების დრო უმეტესად უსწრებს წინ მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედებისას.

მიზნების გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების შემასმენლად, ჩვეულებრივ, გვხვდება ყველა მწკრივის ზმნა, გარდა მყოფადის კავშირებითისა და III კავშირებითისა. დამოკიდებულ წინადადებაში არ ჩანს მხოლოდ მყოფადის კავშირებითი.

ამ ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყო კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო კავშირებითი — აწმყო, მყოფადი — აწმყო, I თურმეობითი — აწმყო):

ჯერჯერობით ლომობა რომ აღარ გაგიდის, მელიაობას ეპოტინები (აკაკი); ასე იმიტომ კი არ იქცევიან, თითქოს ოჯახის დაქვევის შიში ჰქონდეთ (მ. ბრ. თარგმ.); იქნება მკითხველი არ იჯერებდეს ამგვარ... გაგებას, რადგანაც მართლა ძნელი დასაჯერებელია (ილია); ფიცს მალე ვიწამებთ ხოლმე, იმიტომ რომ გულ ჩვილნი ვართ (ილია); თქვენც უახადები ყოფილხართ, რადგან იმ არამზადებს ინახავთ (მ. ჭავჭავაძე).

2) წარსული (უწყვეტელი — უწყვეტელი, უწყვეტელი — ხოლმეობითი, უწყვეტელი — წყვეტილი, უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტელი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, წყვეტილი — უწყვეტელი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — I თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — უწყვეტელი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტელი,



II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

კიდევ იმიტომ გმინავდა, არ ეთმობოდა წარსული (ვაჟა); სახე არა სჩანდა, რადგანაც... ქვაზედ დაედო თავი (აღ. ყაზბ.); მაშინვე შეცბა, რადგან მიხვდა (თ. ჭილ.); მართლაც დიდად გაოცებული იყო, რადგან ველზე არავინ შეხვედრია (ხ. კლდ.); ქალისთვის ვინაობა არ უკითხავს, რადგან ეშინოდა (აღ. ყაზბ.); რადგანაც კარგად უსწავლია, ...პირველი სამოქალაქო ჩინი მიუღღია (ილია); რამდენიმე დღის წინ მოსულიყო სახლში... დროებით, რადგანაც საღლაც აღილი ეშოვა (დ. კლდ.).

3) მომავალი (აწმყოს კავშირებითი — მყოფადი, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — მყოფადი, II კავშირებითი — მყოფადი):

რაკი სცნობს შენსა სიმტკიცეს, მტერიც დაგაკლებს ვერასა (ვაჟა); რადგანაც ...ჩვენს მხესიერებას უნდა... დავემყაროთ, ...ყოველს თქმულს ლექტორისას ვერ გამოვუდგებოთ (ილია); მალე დაბრუნდით, რადგან მეტს არაფერს გამოგიგზავნით (ლ. მხ. თარგმ.); ავის მოქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევითა, იმიტომ რომ გაბოროტდება, ვით ძლიერი... ვნებათღელვა (ილია).

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უპირატესობა ენიჭება ზმნა-შემასმენლეების წარსულ დროში შეთანხმებას.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეიძლება შეეფარდონ სხვადასხვა დროის ფარგლებშიც:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — უწყვეტელი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყო — III კავშირებითი):

თქვენ ფუფუნებით ცხოვრობდით, გული ამიტომ კვდებოდა (ვაჟა); თავწასულენი თქვენა ხართ, რომ მტრად მოგვეკიდენით (გ. ბარნ.); ...იმიტომ კი არ ვაჩერებ მკითხველის ყურადღებას, თითქოს იქ რაიმე სენსაციური... რამ შენახოს (რ. ჯაფ. თარგმ.).

2) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, II კავშირებითი — აწმყო):

თემიდას არაფერი შეეშლება, რადგან ჩვენივე ყოფის მსაჯულია (მ. კვეხ.); რაკი ტანს ვუქებთ თინასა, ცხვირიც შეუქოთ ბარეო (ვაჟა).

3) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყოს კავშირებითი — წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, მყოფადი — უწყვეტელი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — წყვეტილი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — I თურმეობითი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — I თურმეობითი):

მოსავლიან წელიწადს რომ სარჩო არ ღირსებია, ამისთანა გვაღვიან წელიწადში შიმშილის მეტს რაღას უნდა მოვლოდეს (დ. კლდ.); რაკი ფილოსოფოსის სიტყვებით ცოცხლობდა, იმქვეყნად გაცილებით უფრო დიდ ბედნიერებას ეზიარება (ბ. ბრ. თარგმ.); ამას იქითაც ვიქნებოთ, რაკი არ გავსწყდით აქამდე (ვაჟა); რაკი იარაღი იშინველე, პირით დაჰკაარ (მ. ჭავჭავ.); რაკი ერთხელ მოქვი, სიტყვა არ უნდა გატეხო (ს. მგალ.).

როდესაც მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემას-შენიღები სხვადასხვა დროს გამოხატავენ, დაქვემდებარებული წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების დრო უწინარესია მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დროსთან შედარებით. ამას ადასტურებს ისიც, რომ თანაფარდობა: მთავარში — წარსული, დამოკიდებულში — მომავალი საერთოდ არ გვხვდება. ეს უწინარესობა დამოკიდებული წინადადების ზმნით გათვალისწინებული მოქმედებისა საგრძნობია ერთი დროის ფარგლებში შეთანხმების შემთხვევაშიც (სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების გამოხატვა, რაც ამ ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის არის ნიშანდობლივი: დამოკიდებული წინადადება მიუთითებს მიზეზზე, ხოლო მთავარს შედეგის მნიშვნელობა აქვს).

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმით, გარდა III კავშირებითისა; როდენობრივად ჰარბობს ის შემთხვევები, როდესაც მთავარ წინადადებაში აწმყოს, წამყო უწყვეტლის, წყვეტილის, II კავშირებითის, I თურმეობითის, II თურმეობითის მწკრივის ფორმები გვაქვს.

დამოკიდებულ წინადადებაში ამ მწკრივების შესაბამისად გვხვდება ძირითადად II კავშირებითი, II თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი ან III კავშირებითი (იშვიათად).

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ე. ი. ორივე ნაწილში შეიძლება გვქონდეს:

1) ახლანდელი (აწმყო — აწმყოს კავშირებითი):

გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ (ილია).

2) წარსული (უწყვეტელი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — II თურმეობითი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

ზედ ეკვროდა, რომ გამთბარიყო (შ. არაგვ.); ...ითისაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ...საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად (ილია); სკამს მოვაკლევ ხელი, რომ არ წაეკვეთულიყო (აკაკი); რამდენჯერ სარდიონს ...ღანმარება უთხოვნია მისგან, რომ ეგებ ...ქალმწიფლისათვის მისი სა-

კადრისი გზა მიეცა (დ. კლდ.); ...რომ არ გავეღვიძებინე, მხოლოდ წინა ფეხებზე წამომდგარიყო (ს. კლდ.).

3) მომავალი (მყოფადი — II კავშირებითი, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — II კავშირებითი, II კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — II კავშირებითი, II კავშირებითი — III კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი — II კავშირებითი):

შენს საქონელს მოუარე, რომ მეზობელს ქურდი არ დაუძახოო (ანდაზა); გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს, მიმედ დამტვირთოს წვიმითა, რომ მოვრწყო გული ქვეყნისა დაუშრობელის მილითა (ვაჟა); გაზაფხულზე ისევ თრიალეთზე დაბარუნდებიან, რათა დაწყებული საქმე გამარჯვებით დაამთავრონ (მ. ჭავჭავაძე).

როგორც ვხედავთ, ამჯერად უპირატესობა ენიჭება მომავალ დროში შეთანხმებას.

შედარებით ნაკლებადაა მოსალოდნელი ზმნა-შემასმენელთა შეფარდება სხვადასხვა დროის ფარგლებში. საანალიზო კონსტრუქციაში გვხვდება ორი ძირითადი შესაძლებლობა:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — მომავალი (აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი, მყოფადი — II კავშირებითი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

მთვარე ცით რად არ ჩამოდის, რომ დამიმშვენოს გვერდია (ვაჟა); ხან კბილებით მოიჩიჩქნის. (=იჩიჩქნის ხოლმე) მკერდს, რომ მკენარი მოიშოროს (ს. მგაღ.); ...მთები ...ამ წალკოტს დარაჯად შემოსდგომია (=აქვს შემომდგარი), რომ უღირსი არ მიაკაროს (ალ. ყაზბ.).

2) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში — მომავალი (ნამყო უწყვეტელი — II კავშირებითი, წყვეტილი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი — II კავშირებითი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

ხანდახან ძალღივით შეჰყეფდა ხოლმე, რომ ეგება ამ მოტყუებით მტრები გავაფრთხოო (აკაკი); ჩვენ იმისთვის მოვედით, რომ ომი მოგაშოროთ (მ. ჭავჭავაძე).

კანონზომიერება თვალსაჩინოა: დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო ყოველთვის მომავალია მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების დროსთან შედარებით. სავანგებოდ შეენიშნავთ, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი აუცილებლად მომდევნო დროს ვარაუდობს მთავარი წინადადების ზმნის ნებისმიერ დროსთან მიმართებით ზმნა-შემასმენელთა ერთი რომელიმე დროის ფარგლებში შეთანხმების დროსაც.

პირობით კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმით, გარდა მყოფადის კავშირებითისა და III კავშირებითისა, ყველა მწკრივისა შეიძლება იყოს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი.

შესაძლო კომბინაციების გაანალიზებამ მწკრივთა დროითი და კილოური მნიშვნელობის თვალსაზრისით ასეთი სურათი გვიჩვენა:

პირობით წინადადებაში ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ჰიპოთაქსური კონსტრუქციის ორსავე ნაწილში ზმნა-შემასმენლებით გამოხატულია:

1) ახლანდელი დრო (აწმყო — აწმყო, აწმყო — აწმყოს კავშირებითი, აწმყო — მყოფადი, აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — აწმყო, აწმყოს კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — აწმყო):

კაცი თუ გონიერი ა, სოფელი დონიერი ა (ანდაზა); თუ კაცს გულში ჯაგრი აქვს რამე, საქმე აღარ აგონდება (ეკ. ვაბ.); თუ საპიროდ დაინახავს, ...სათაურს წერილში აცნობს ხოლმე მკითხველს თავის ვინაობას (ილია); თუ გწადს სიბრძნით სვლა, სიმაღლის სმენა, — შიშველი უნდა დადიოდე დედა-მიწაზე (ლ. გოთ.); ცხოვრება თუ მარტო ბრძოლა არის, მაშინ მხოლოდ ძლიერი ყოფილა მართალი (ლ. გოთ.).

2) წარსული (უწყვეტილი — აწმყო, უწყვეტილი — უწყვეტილი, უწყვეტილი — ხოლმეობითი, უწყვეტილი — წყვეტილი, უწყვეტილი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — უწყვეტილი, ხოლმეობითი — ხოლმეობითი, ხოლმეობითი — წყვეტილი, ხოლმეობითი — II კავშირებითი, ხოლმეობითი — II თურმეობითი, ხოლმეობითი — III კავშირებითი, წყვეტილი — უწყვეტილი, წყვეტილი — ხოლმეობითი, წყვეტილი — წყვეტილი, წყვეტილი — II თურმეობითი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — I თურმეობითი, II თურმეობითი — უწყვეტილი, II თურმეობითი — ხოლმეობითი, II თურმეობითი — წყვეტილი, II თურმეობითი — II თურმეობითი):

თუ ვინმე თვალში ჰყავდა ამოღებული, ყველას ხოცავდა (მ. კვხ.); თუ ჰკვიანი და გონიერი ბრძანდებოდა, ...იმისთანასაც არ შემოათრევდი ოჯახში (დ. კლდ.); თუ ხელის მოჭრა მდომიყო, გან ვერ მოვსჯრიდი თავდა? (ვაჟა); ბაჰია რომ გონიერებას პატარაობიდანვე არ გადაჩვეულიყო, მაგ განზრახვას მიმიხვდებოდა (ილია); თუ შენი ნებაც იყო, რაღათ მოჰქალი? (ს. მგაღ.); თუ თქვენმა მეგობარმა ზაალმა გითხრა, ...გაუბრიყვებინხართ (ილია); თუ მიგდენი იცოდა, აღრე დაეყვილა (აკაკი).

3) მომავალი (აწმყო — მყოფადი, აწმყო — წყვეტილი, აწმყო — II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი — II კავშირებითი, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, მყოფადი — მყოფადი, მყოფადი — მყოფადის კავ-

შირებითი, მყოფადი — წყვეტილი, მყოფადი — II კავშირებითი, მყოფადი — I თურმეობითი, ხოლმეობითი — მყოფადის კავშირებითი, ხოლმეობითი — წყვეტილი (კავშირებითი კილოს მნიშვნელობისა), ხოლმეობითი — II კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან. კილოსი) — მყოფადი, წყვეტილი (ბრძან.) — წყვეტილი, წყვეტილი (ბრძან.) — II კავშირებითი, II კავშირებითი — მყოფადი, II კავშირებითი — წყვეტილი, II კავშირებითი — II კავშირებითი, I თურმეობითი — მყოფადი, I თურმეობითი — წყვეტილი, I თურმეობითი — II კავშირებითი):

თუ არ გავიჭირდეს, თოფის გასროლაზედაც არ უნდა ეკარებოდეთ (აკაკი); თუ მაგასაც დამიწუნებ, აღარ დაგეკითხებიან (მ. ჭავჭავ.); რომ მოინდომებდნენ, შენ ეგ არ გავიჭირდებო (ლ. კლდ.); ამ ჭახრას თუ ვუყურებ, დავიხოცებით წყურვილით (ვ. ლორთქ.); რომ მოვკვდე, ვინ დამიტირებს? (ვაჟა); თუ ჩემი ბრძანება არ შეგისრულდებათ (=არ შეასრულებთ!), ხეზე ჩამოგკიდებთო (ს. კლდ.); თქვენც რომ მანამდე ამოივლიდეთ, კარგს იწებებდით (ლ. კლდ.); თუ მოერგვი, ...შემოიტანე (მ. არაგვ.); დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო (ანდაზა); თუ მარტო შევიტყარი ტყეში, არ შეწუხებდე (ს. კლდ.); რომ გავგეცალო, ვისლა მივიმართო? (ილია); თუ სკოლა ამას არა იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია (=წაიღოს! ილია); ქალობამც გამქრობია (=გამიქრეს!), თუ გავცე (ალ. ყაზბ.).

როგორც ვხედავთ, საანალიზო ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში უპირატესობა ენიჭება მომავალსა და წარსულ დროში შეთანხმებას.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები შეიძლება შეეფარდონ ერთმანეთს სხვადასხვა დროის ფარგლებშიც; სახელდობრ:

1) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში — წარსული (აწმყო — I თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი — III კავშირებითი):

თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო? (ანდაზა); თუ დამეშავოს (=დამეშავებინოს) მე რამა, ძალნი მრისხავდენ ღვთისანი (ვაჟა).

2) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — ახლანდელი (მყოფადი — აწმყო, მყოფადი — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყო, წყვეტილი (ბრძან.) — აწმყოს კავშირებითი, წყვეტილი (ბრძან.) — I თურმეობითი, II კავშირებითი — აწმყო, II კავშირებითი — აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, I თურმეობითი — აწმყო):

თუ გწყინთ, გავხუმლები (ლ. ვოთ.); თუ სიკეთე გავიბრძის, დაეწიე; თუ სიკვამლე გვდევს, გვერდი აუქციე (ანდაზა); ძმანი რომ ვერ რიგდებოდნენ, ერთმანეთს მოარიდეთა (ვაჟა); თუ ეგრეა, შენმა სულმა ზღოს (ალ. ყაზბ.); ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას სიტყვის შნოსათვის ვამბობდნენ (ვაჟა); თუ ასეა, შემიწირავს თავი! (ს. შვალ.).

3) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში — წარსული (მყოფადი — I თურმეობითი, წყვეტილი (ბრძან.) — I თურმეობითი, II კავშირებითი — I თურმეობითი, II კავშირებითი — III კავშირებითი):

ლევანდელს ნათეს ხვალ მოჰმკის, თუკი რამ დაუთესთა (ვაჟა); თუ ღვე-  
გმირი არ გინახავთ, მოდით და მნახეთ (ილია); როგორღა ვარწმუნო  
სხვები, თუკი თქვენც ვერ დამირწმუნებთ ხართ (ბ. ბრ. თარგმ.); თავი მო-  
მიკვდეს, თუ მე ან შენზე, ან ლევანზე ეჭვი შემეტანოს (შ. არაგვ.).

ნებისმიერ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენ-  
ლით გამოხატული მოქმედების დრო წინ უსწრებს მთავარი წინადადების  
ზმნა-შემასმენლით გადმოცემულს. ეს უწინარესობა დამოკიდებული წი-  
ნადადების ზმნა-შემასმენლით ნავარაუდვეი დროისა თვალსაჩინოა ერთი  
(ნებისმიერი) დროის ფარგლებში შეთანხმების დროსაც.

თუ მოკლედ შევაჯამებთ იმას, რაც ითქვა (მწკრივთა შესაძლო შე-  
ფარდებებზე დაყრდნობით) დროთა თანამიმდევრობის შესახებ, შეგვიძ-  
ლია დავასკვნათ:

1) ყველა სახის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და და-  
მოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძი-  
რითადად ერთი დროის ფარგლებში. ამასთან უპირატესობა ენიჭება წარ-  
სულ დროში შეთანხმებას. ამ დებულებას მხარს უჭერს ყველა გაანალი-  
ზებული ტიპი, გარდა მიზნის გარემოებით დამოკიდებულიანი ჰიპოტაქ-  
სური კონსტრუქციისა, სადაც აშკარად ჰარბობს მომავალ დროში შეთან-  
ხმების მაგალითები. დაახლოებით ერთნაირია წარსულსა და მომავალ  
დროში შეფარდების შემთხვევები (წარსული დროის უმნიშვნელო უპი-  
რატესობით) პირობით წინადადებაში.

2) შესაძლოა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შე-  
მასმენლები ერთმანეთს შეეფარდონ სხვადასხვა დროის ფარგლებშიც.  
შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დამოკიდებული წინადადე-  
ბის ზმნით გამოხატული მოქმედების დრო უსწრებს მთავარი წინადადე-  
ბის ზმნით ნავარაუდევს. ამ წესს არღვევს მხოლოდ მიზნის გარემოები-  
თი დამოკიდებული წინადადება. ამ სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში  
დამოკიდებული წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების დრო  
აუცილებლად მომდევნო უნდა იყოს მთავარი წინადადების ზმნით გა-  
მოხატული მოქმედების ნებისმიერ დროსთან მიმართებით. ნაწილობრივ  
ირღვევა დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით მოცემული მოქ-  
მედების დროის უწინარესობის წესი პირდაპირდამატებით დამოკიდებუ-  
ლიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც, სადაც უწინარესობა-შემდგო-  
მადობა დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გვხვდება.

3) ერთსა და იმავე მწკრივს სხვადასხვა პოზიციაში (მთავარშია იგი  
თუ დამოკიდებულში) და სხვადასხვა მწკრივთან ურთიერთობისას შესა-  
ძლოა განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს სხვაობა თვალსაჩინოა  
არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, არამედ  
ერთი რომელიმე ტიპის შიგნითაც.